საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

ოთხშაბათი, ივლისის 13
1921 წ.
ფასი 500 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისტორიული დოკუმენტი

**საქართველოს რევკომს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ.**

თავისუფალი აჭარისტანის მეჯლისის დელეგაცია თანახმაა (соглашается) აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნაზე, როგორც საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ნაწილისა შემდეგი პირობების დაცვით, რომელიც მიღებულია აჭარის მეჯლისის მიერ ივნისის 7 1921 წლის სხდომაზე:

1) მეჯლისი, როგორც სრულუფლებიანი ორგანო, არჩეული აჭარის მცხოვრებთა მიერ (ბათომისა და მისი ოლქისაგან) აცხადებს ამ უკანასკნელთა სურვილს: შევიდეს (ВОЙТИ) იგი საქართველოს ს. ს. რ. შემადგენლობაში, როგორც მისი ნაწილი ფართო ავტონომიურ საფუძვლებზე, რომლის საბჭოთა მართველობა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგ ფორმებში:

2) აჭარის ავტონომიურ ს. ს. რ. საქმეთა მოსაგვარებლად უნდა დაარსდეს სახალხო კომისარიატები: 1) შინაგან საქმეთა ფოსტა-ტელეგრაფის გამგებლობით, 2) იუსტიციის, 3) განათლების, 4) ჯანმრთელობის, 5) სოციალური უზრუნველყოფის, 6) მიწათ მოქმედების, 7) მომარაგების, 8) ფინანსების 9) სახალხო სამეურნეო საბჭო განყოფილებებით „ლესკომის“*) კომუნხოზის**), შრომისა და გზათა კომგოსორის***) მეთაურობს, და 10) რაბკრინის****).

**შენიშვნა:** ა) საგარეო საქმეებით მთლიანათ იმყოფება საქ. ს. ს. რ. ცენტრალური ორგანოების მართველობაში,

ბ) აგრეთვე საგარეო ვაჭრობაც, მხოლოდ მეჯლისი იტოვებს უფლებას (выговоривает себе право) ჰყავდეს ერთა წარმომადგენელი ვნეშტორგში*****)

გ) სამხედრო საქმეებს უძღვება აჭარის სამხედრო კომისარიატი, რომელიც პირდაპირ ემორჩილება საქართველოს სამხედრო კომისარს.

დ) კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლის წარმოება ევალება საგანგებო კომისიის ორგანოებს, რომელიც შესდგება განსაკუთრებით აჭარის მეჯლისთან შეთანხმებით.

3) ყველა აუცილებელი ფინანსიური საშვალებებით ავტონომიური აჭარის ს. ს. რ. საზრდოობს საქართველოს ს. ს. რ. საერთო წყაროებიდან.

4) აჭარის პირველ საბჭოების კრების მოწვევამდე მთელი ძალა უფლება რჩება მეჯლისის ხელში.

5) აჭარის ს. ს. რ. უნდა შევიდეს ახალციხის მაზრაც.

6) აჭარის საზღვრები გამორკვეულ უნდა იქნეს შერეული კომისიის მიერ რომელიც შესდგება გარეშე და შინაგან საქმეთა ცენტრალური კომისარიატის წარმომადგენლებისა და აჭარის შინაგან საქმეთა კომისარიატის წარმომადგენლისაგან.

ხელს აწერს: დელეგაციის თავმჯდომარე მეჯლისის თავმჯდომარე მახან ლორთქიფანიძე

დელეგაციის წევრნი მეჯლისის წევრნი:

1. ხ. ე. კემახიძე
2. ძ. პ. ამუხვარიძე
3. უ. ა. კიხავა
4. მ. ე. მეხრან-ოღლი
5. ა. ა. გოგი-ოღლი
6. ხ. ბ. ბიბან-ზადე
7. ხ. ე. ფალავა.

მეჯლისის მდივანი შ. კორტედიძე.

---

*) სატყეო კომიტეტი.

**) კომუნალური მეურნეობა.

***) სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტი.

****) მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

*****) ბათომის საგარეო ვაჭრობის კომისარიატი

რედ.

## ფურცლები

53.

**პირდაპირობა.**

საქართველოს დედა ქალაქის ქუჩებს ამ ბოლო დროს სამუსლიმანო საქართველოს ძალებიც ემჩნევოდა. ვინ არ დადის ამ კურთხეულს ქალაქში, ვინ რას აკეთებს, რას ფიქრობს, საით მიისწრაფის და როგორ არა ქსოვს იმ ბადეს, რომელშიაც უნდა ჩაიჭირონ შემდეგ არა ერთი ათასეული მოქალაქეთა.

დღეს ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა ყოველ გზირს ფეხის ტერფშიაც უნდა მისდიო, რომ მისი გზა-კვალი გაიგო. ის დრო აღარ არის, როცა დილის 5 საათზე ჩამოსული სტუმრის მთელი „ზალაჟი“ იმავე დილის 6 საათზე უკვე იცოდი პრესის საშუალებით. ეხლა ყველაფერს იდუმალობის ზეწარი აფარია და ადვილად შეიძლება რომელიმე ჩვენი მნიშვნელოვანი პროვინციის ბედი გადაიჭრას დიდი ხნით და ჩვენ ეს გავიგოთ პოსტ ფაქტუმ.

ასეთია სინამდვილე. განა ბევრმა კი იცის რას აკეთებდა ტფილისში ერთი თვის წინად ცნობილი მუსლიმანი მემედ აბაშიძე? განა ვიცით მისი მოლაპარაკების ამბები საქართველოს მთავრობასთან? ვიცით რა პირობით წავიდა, ან ის ვიცით რად დადუმდა დღეს იგი მოღვაწე?

დღეს კი ტფილისში სამუსლიმანო საქართველოს ახალი სტუმრები არიან, ისინი „აჭარისტანის“ სახელით მოქმედებენ ტფილისში. რა არის „აჭარისტანი“? რას ნიშნავს ეს სახელი, რისთვის გამოიგონეს იგი, როდის გაჩნდა „აჭარისტანი“-ს ხალხი, რაა მისი ისტორია, ვინ იცნობს მათ, რა უნდათ?

ყველა ეს კითხვა ჩვენ თავს დაგვტრიალებს, ჩვენ სავსებით გვბოჭავს ყველა კითხვა იმიტომაც, რომ ეს ხალხი მხოლოდ იმიტომ კი არ მოვიდნენ ფორთოხლის და ზეთისხილის სამეფოდან, რომ რუსთველის პროსპექტის კალენდრებში ამოიკითხონ ისტორიული ცნობები „აჭარისტანისა“, არამედ მათ რეალური განზრახვა აქვთ მთელი ჩვენი მხარის მართვა-გამგეობის აღებისა. თურმე ეს ხალხი პირდაპირი პრეტენდენტი ყოფილა სამთავრობო, საკანონმდებლო შემოქმედებისა სამუსლიმანო საქართველოს მიმართულებით და ჩვენ კი, ჩვენ, რომელნიც ასე თუ ისე ყურადღებით ვეკიდებით ჩვენი ქვეყნის ამბებს, ჩვენც არ ვიცით ვინ არიან ისინი და ნამდვილად მათ რა სწადიათ.

ეს ხალხი ჩამოვიდა ტფილისში, ჩამოიტანეს ქვეყნის მოწყობისათვის პროექტები, მიმართვანი, „მემორანდუმი“ და სხვ., მაგრამ არც ერთი ეს წერილობითი მასალა არ გადასცეს ქვეყანას, ხალხს, პრესას. ჩვენ გვინდა ამ მოღვაწეებს ვკითხოთ, რომელ საფუძველში სთვლიან თავს და როგორ აპირებენ საქართველოს ცხოვრებაში მუშაობას გარეშე ქართველი ერის ყურადღებისა და საზოგადოებრივი აზრისა?

ჩვენ ისტორიულ დანაშაულად მიგვაჩნია ასეთს პირობებში რაიმე გადაწყვეტილების გამოტანა ქვეყნის ძირითადს და სასიცოცხლო საკითხებზე.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ ისტორიული დოკუმენტის სახით აჭარისტანელთა მიმართვას საქართველოს მთავრობისადმი. პირველი მუხლი უკვე გვიჩვენებს რა ძალასთან გვაქვს საქმე—„მეჯლისი, როგორც სრულუფლოვანი ორგანო, არჩეული აჭარის მცხოვრებთა მიერ“... და სხ. მაგრამ შეგვიძლიან კი ამ პირობებშიაც ხელ-აღებით დავეყრდნოთ „სრულუფლოვანობას“ და უკომენტაროდ მივიჩნიოთ იგი ძალა ქვეყნის პატრონად?..

ჩვენთვის პირდაპირ საოცრებაა: აჭარისტანის მეჯლისი თითქმის ერთი რწმენის ხალხისაგან შესდგება თუ მხედველობაში არ მივიღებთ 7 წევრს სვდაი-მილეთის ჯგუფისას. რეაქცია-რევოლიუციის პროცესში ჩვენ განვლეთ არა ერთი და ორი წელი. არ ყოფილა არა მარტო აჭარის ყველა ნაწილში, მთელს მესხეთსა, არტაანსა და ბათომ-ართვინის ოლქებში არც ერთი სასოფლო საზოგადოება, რომლის ხმა არ მიგვეღო, რომელთანაც არ ვიყავით, მაგრამ აჭარისტანის ეს ძალები არსად გამოჩენილან. სად იყვნენ? რას აკეთებდნენ? ამათ ჩვენ არ ვხედავთ იქ, სადაც ჰაიდარები, მემედები, ზიაები, სულეიმანები და სხვ. გამალებით ებრძოდნენ თურქის შავრაზმელებს აჭარაში, სადაც აჭარის მოღალატეებს სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ. ჩვენ კიდევ ვკითხულობთ ამ მოღვაწეების მოღვაწეობას და გადაგვიშალეთ ცოცხალი ან მკვდარი ფურცლები ქართული, საქართველოსი შემოქმედებისა?

დიაღ, პირდაპირ საოცრებაა: „განმანთავისუფლებელი კომიტეტი“, რომელიც აჭარის კრიტიკულს მომენტში სასტიკად იბრძოდა მთელი სამუსლიმანო საქართველოს თავისუფლებისათვის გაბატონებულ ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც პირდაპირ, უშუალოდ ხელმძღვანელობდა არსებითად ეროვნულს და რევოლიუციონურ საქმეს მთელს სამუსლიმანო საქართველოში—დღეს ეს კომიტეტი სადღაც ისე გაქრა, რომ ქვეყნის არჩევნებში, ვერც ერთს სოფელში, ვერც ერთს თემში ერთი კაციც ვერ გაიყვანა??

რაშია საქმე? რა ამბავია, რა მოხდა?

ჩვენ მთელი „არჩევნები“ აჭარისტანელებისა მიგვაჩნია დიდ კითხვად და პირდაპირ შეუძლებლად მიგვაჩნია ასე აჩქარებით, ასე ერთი ხელის დაკვრით გადავწყვიტოთ მთელი ქვეყნის საქმე.

ნება გვიბოძეთ ეხლა აჭარისტანის მთელს პოლიტიკურს შემოქმედებას შევეხოთ, თუ შეიძლება პოლიტიკური შემოქმედება უწოდოთ იმ მცირე, დაუმზადებელ, მოუფიქრებელ, აუწონ-დაუწონელ მასალას, რომელიც ჩვენ ზემოდ დავბეჭდეთ.

აჭარისტანის ეს ხალხი საქ. რევკომს მიუთითებს საავტონომიო სტატუტებს, მაგრამ ამ უდიდეს ხასიათის და მნიშვნელობის დოკუმენტს არავითარ წინასწარ მასალას არ უმატებს, სადაც დაწვრილებით გვეშლებოდეს სურათი ქვეყნის მდგომარეობისა, ზოგადი კულტურულ-პოლიტიკური მიზნებისა და ის პოლიტიკური ანუ ეკონომიური პერსპექტივა, რომელსაც ემსახურებოდეს ეს ხალხი.

თუ ჩაუკვირდებით შინაარს საქ. რევკომისადმი მიწერილ „მემორანდუმისა“ შეგვიძლიან უსაზღვრო განცვიფრება გამოვსთქვათ და კიდევ მეტი გაკვირვება საკითხის ისე დაყენებისათვის, როგორც ეს სჩანს მიმართვაში. „მეჯლისის დელეგაცია თანახმაა აჭარის ავტონომიურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის შექმნაზე..“ რას ნიშნავს ეს? რას ნიშნავს თანახმაა? რას ამბობს ეს სიტყვა? როგორ შეიძლება რეჟიმის შექმნა, წყობილების დამყარება, პოლიტიკური საფუძვლის ჩაყრა ხალხისთვის თუ ეს არის ძირითადი რწმენა, პრინციპი, მსოფლმხედველობა, აზრი, იდეა მომქმედ ძალთა? მანდარინის რიცხვი ხომ არ არის სადაო, რომ გადავაგდოთ ერთი რაოდენობა, გამოვაგდოთ მეორე? ხალხისა და ქვეყნისათვის საინტერესო ის კი არ არის თუ ვინ, რა პოლიტიკურ კომბინაციას აკეთებს: რამედ ის პოლიტიკური მუშაობის შინაარსი, რომლის მიხედვით გაიარა არჩევნების კამპანიამ, ის აზრი, რომლის მიხედვით ხალხმა თავისი მეჯლისი შექმნა. რა არის მეჯლისის საკუთარი აზრი, რა ასულდგმულებს მას, რა ხასიათის იქნება მისი უშუალო მოღვაწეობა? —ეს არსად სჩანს, ეს არავინ იცის, ცხადია მხოლოდ, რომ „მეჯლისი“ თანახმაა დღეს საბჭოთა მართველობა შექმნას აჭარაში. ჩვენ ეს საფუძველი პოლიტიკური არსებობისა მიგვაჩნია არა თუ მერყევ, უპრინციპო დებულებად, არა, ეს პირობა ააშკარავებს აჭარაში ყოველგვარ შესაძლოებას, ყოველგვარ მოლოდინს ათასნაირად დაბლართულ პოლიტიკურს პირობებში და ამიტომ საქართველოს საარსებო ინტერესებისათვის ასეთი ღია კარები ყოვლად შეუწყნარებელია.

რამდენადაც აკვირდებით მიმართვას, იმდენადვე შეუძლებელი ხდება არა მარტო მისი ზოგადი საფუძვლების მიღება, აუტანელი ხდება მისი თვით სული, ხასიათი, მისწრაფება, რომელიც მაინც სჩანს შიგ, თუმცა ყოველივე ეს დამალულია. პირველი მუხლი „აჭარისტანელთა“ შემოქმედების გვირგვინად შეგვიძლიან ჩავსთვალოთ. სიტყვა-სიტყვით: „მეჯლისი... აცხადებს... სურვილს: შევიდეს (ВОЙТИ) იგი საქართველოს ს. ს. რ. შემადგენლობაში, როგორც მისი ნაწილი...“

რას ნიშნავს ეს ნორმატიულის თვალსაზრისით? ერთად ერთი პოლიტიკური და ფორმალური აზრი შემდეგია: აჭარისტანი წარმოდგენილია არა როგორც საქართველო, არამედ უფლება მოსილი ცალკე სახელმწიფო, რომელსაც სურვილი აქვს შევიდეს საქართველოში. როდის შეიქმნა ასეთი მდგომარეობა სამუსლიმანო საქართველოში. ვინ არის საქართველოში აჭარაზე ასეთი შეხედულების, ვინ იზიარებს მას ჩვენი მეგობრებიდან და მოძმეებიდან?—რასაკვირველია არავინ. აჭარის შესახებ „აჭარისტანელთა“ შეხედულება ჩვენ მიგვაჩნია ანტიეროვნულ, ანტიქართულ შეხედულებად, იგი საშიში ატარებს ყოველ ავანტიურის შესაძლოებას და ამ ნიადაგზე „აჭარისტანის“ ძალებსა და ჩვენს შორის არ მოიძებნება არც საერთო ენა, არც გასაგები ენა. არსებითად ეს ნიშნავს დასამარებას მთელი ჩვენი ეროვნული შემოქმედების და დაუშვებლად მიგვაჩნია ასეთ ძალთა ხელში მთელი ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების და საქმეების ჩაგდება.

დავაკვირდეთ ისევ ამ დებულების საფუძვლებს. დღეს მეჯლისი სურვილს აცხადებს საქართველოში შესვლისას. ესე იგი აჭარა, რომ საქართველოსთან იყოს ეს არის არა თავისთავად არსებული ისტორიული ფაქტი, არამედ უბრალო პოლიტიკური ნაბიჯი. აქედან ერთი ლოღიკური შესაძლოებაა: მაშასადამე „აჭარისტანელთათვის“ შესაძლოება ყოფილა სხვა გამოსავალიც, თუ არა სურვილი აჭარისტანელთა, შეიძლება აჭარა არ შედიოდეს საქართველოში. განა ჭკუათამყოფელ ქართველისათვის წარმოსადგენია საკითხის ასე დაყენება?

დღეს „აჭარისტანელნი“ სურვილს აცხადებენ საქართველოში დარჩენისათვის, რა იქნება ხვალ? იგივე სურვილი შეიძლება თუ არა მიზეზი გახდეს საკითხის სხვა ნიადაგზე დაყენებისათვის? —დიაღ. ყოველივე ეს შეიძლება და ამიტომაცაა, რომ ჩვენ უსაზღვრო პესიმიზმით ვართ შეპყრობილი და ისტორიულ შეცდომათ მიგვაჩნია ასეთი მდგომარეობის წუთით შენახვა.

აჭარა და საქართველო, საქართველო და აჭარა, ჩვენ ეს პრობლემა ისე გვესმის, როგორც კახეთი და საქართველო, როგორც გურია და საქართველო, სამეგრელო და საქართველო, აფხაზეთი და საქართველო. აქ ერთი სამშობლოა, არის მხოლოდ ერთი სამშობლოს სხვა და სხვა მხარე, სხვა და სხვა კუთხე, აქ არის ერთი ტერიტორია, ტერიტორიის სხვა და სხვა ნაწილი—ასე გვესმის საკითხი, ამ თვალსაზრისით უნდა ჩამოყალიბდეს პოლიტიკური ფორმულა, შინაარსი რომელიმე ჩვენი საკითხისა. ერთი სახელმწიფო, მაგრამ სხვა და სხვა ატრიბუტი სახელმწიფოსი, ერთი უფლება, მაგრამ ადგილობრივ კოლორიტით სარგებლობა ამ უფლების ერთი სიტყვით ერთი კონსტიტუცია, ერთი ძირითადი კანონი.

სდგას ასევე ყოველივე ეს საკითხი აჭარისტანელთათვის?—არა სდგას. ჩვენი სახელმწიფოს სულია სახელმწიფოებრივი ქართული ენა, ეს არის ჩვენი საკონსტიტუციო საკითხი, მაგრამ ეს საკონსტიტუციო საკითხი ასევე საკონსტიტუციოა თუ არა აჭარისტანელთათვის? სად განილა საავტონომიო სტატუტი იყოს ანტიკონსტიტუციური? რით უნდა აიხსნას ეს „მარცხი“ „აჭარისტანელთა“?

ჩვენ კიდევ ვკითხულობთ: რას ნიშნავს ეს?

დამატებით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. აჭარისტანელნი მოითხოვენ მესხეთის მიმატებას აჭარისტანთან. აქ დიდი პრინციპიალური საკითხია წამოყენებული. ჩვენ ეს პრობლემა გვესმის საქართველოს ეროვნულ პოლიტიკის თვალსაზრისით. დღეს საქართველოს გარეშეა დარჩენილი მრავალი კუთხე სამუსულმანო საქართველოსი თვით ლაზისტანით. „განმანთავისუფლებელ კომიტეტის“ პოლიტიკური მიზანი იყო შემოკრება ყველა ამ ნაწილების და მშობელ ქვეყანასთან დაკავშირება. ყოველი ქართველი „განმ. კომიტეტთან“ იყო ამ მუშაობაში, „კომიტეტის“ ეს პოლიტიკა საჯაროდ აშკარა იყო ყველასათვის, ყველამ ვიცოდით ვინ რას აკეთებდა, მაგრამ შეგვიძლიან კი ესევე ვსთქვათ დღესაც? განა „აჭარისტანელნი“ ეძებენ ჩვენს მოძმეებს და ადგილებს დედა-საქართველოსთვის? არა, ჩვენ არა თუ მესხეთის მიმატების წინააღმდეგი ვართ „აჭარისტანთან“ ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია თვით „აჭარისტანელთა“ აზრის საქმედ ქცევა-

სა. პოლიტიკური მიზნების ბორჯღში გახვევა უნდო ლომის ზღვაა—ამას „აჭარისტანის“ ძილვაწენ იმსახურებენ!

სრულიად არ ვეხებით აქ „აჭარისტანელთა“ მიმართვის სხვა მხარეებს. ჩვენ შევეხეთ პრინციპს, მის შინაარს და არსებას. არაპირდაპირობა, არა საქვეყნოდ აშკარა მოწოდება—აი ხასიათი ხსენებულ მიმართვისა. ზედმეტია ლაპარაკი ლიტერატურულ და იურიდიულად საკითხების დაყენებაზე.

სოციალური შემოქმედების თვალსაზრისითაც კრიტიკას ვერ უძლებს დოკუმენტი. რელიგია და კასტა, სეპარაცია და ოპორტუნიზმი ყოველ პწკარში მოსჩანს აშკარად.

უიმედობა, უიმედობა და უიმედობა იპყრობს ჩვენს გონებას და ვშიშობთ საქართველოს სასიცოცხლო საქმეებმა არ ჩავარდეს ამ უიმედობის მიზეზთა ქაოსში...

თედო ღლონტი

# Est modus in rebus.

(ყოველივეს ზომა აქვს.)

საზოგადოების არსებობა, სხვათა შორის თანაგრძნობის და გამტანობის იდეით არის ნასულდგმულევი. ეს თვისებები არსად ისე არ მჟღავნდებიან, როგორც ერის ისტორიაში. ალბად იმიტომ, რომ საზოგადოების ყველაზე მძლავრ სახეს ერი იძლევა. არც ერთ იდეას არ შესწირავენ ისე თავ-დადებით, როგორც ეროვნულს. აბა გახედეთ სოციოლოგიის მასალას, და დარწმუნდებით, როგორ სცემდნენ თაყვანს ეროვნულ გმირებს. ინდოეთში ღმერთებს თელფესებს ეძახიან. მათ ჰყავთ თანამსახურნიც, რომელნიც ბრძოლის ველზე იხოცებიან, ისინი ღმერთებთან მიდიან თანამსახურებად, ნიშნად დიდი პატივისცემისა და თუნდ ღმერთებისა, სახლში დახოცილები კი მათი წარმოდგენით ქვესკნელს ჩადიან და იქ იმალებიან. საბერძნეთშიც აღმერთებდნენ გმირებს. და ხალხის ფიქრით აქარებდა თერმოპილეს გმირთა სახელებს. ასე იყო რომში, და შემდეგ ყველგან, დღევანდლამდე. „სახელოვან სიკვდილთა“ კათეგორიებში, ერისთვის თავდადება ყველაზე მაღალია. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ამ გმირთა სისხლით იზრდებოდა და ინახებოდა ერი. და თუ დარჩენილები ამ სახით თავის პატივისცემას და მადლობას გამოსახავდნენ, დახოცილებიც უშიშრად ხვდებოდნენ სიკვდილს, გამტანობის და ერთგულობის პათოსით ანთებულნი. ასეთ ჯერ უბრალო საზოგადოების შთანასახშიც კი ჩნდება ეს თვისებები, და უმაღლეს ფორმაციას ხომ უფრო უნდა განევითარებინა იგი. თავდადების და გაზიარების იდეებიც ყველაზე საუკეთესო გამომჟღავნებას ერის სახელით ჰპოულობდნენ. შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოს გმირული ისტორიაც საუკეთესო მასალას იძლევა. ჩამოთვლა რა საჭიროა, როცა ყველა ჩვენგანს ბევრი რამ ხალხური თქმულება, საგმირო და სავაჟკაცო თითქმის ზეპირად უსწავლია. ეს ვიცით, მხოლოდ არ უნდა დავმალოთ ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში ეს ეროვნული თანაგრძნობის, გამცნობის და გაზიარების იდეა თან და თანობით დაბლა დაეშვა, და ყოველდღიურ გამოყენების დონემდეც კი დავიდა ბინძური ეგოიზმის მიზეზით, რომელმაც საუკუნის განმავლობაში რყვნა ქართული სული და ზნეები. დენაციონალიზაციამ ისეთი კვალი აჩნია საქართველოს სხეულზე, რომ ეს ჭრილობები დღესაც გვიშლის სიარულს. ჩვენში ძველად ამაღლებული ეროვნული იდეა მეცხრამეტე საუკუნეში სულ დაეცა და ამ დეკადანსმა მასიური ხასიათიც კი მიიღო. ილია ჭავჭავაძის ღრმა ანალიზი სავსებით მართალი იყო, როდესაც სწერდა: „განვთვითეულდით და თვითეულის ზურგმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასთვის ადვილი საზიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვეღარ იტვირთა... დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი, დიდი „მამული“ დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ“... რასაკვირველია ამ სტრიქონების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. რევოლიუციამ და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ეროვნულ იდეისკენ მოსწია ქართველთა ენერგია, და დღეს კი საქართველო ისეა ერთი ფიქრით გამსჭვალული, როგორც შეიძლება იშვიათად ყოფილა, მაგრამ მაინც ისე ხომ არ შეიძლება ჩვენი საქმის დაყენება, რომ სადმე ხვრელი არ აღმოგვიჩნდეს.

დღეს ჩვენი ეროვნული მდგომარეობა მოითხოვს ყველა ქართველის სიფხიზლეს, უნარიანობას, თავ-დადებას. ჩვენს გარშემო დიდი ამბები ჰხდება, შეიძლება დიდი რამ შევიძინოთ, და შეიძლება უფრო დიდი რამ დავკარგოთ. დღეს ყველა ერთისთვის უნდა იყვეს და ერთი ყველასათვის, რადგან დღეს ან უნდა გამოიჭედოს ჩვენი ეროვნული თავისუფლება საბოლოოდ, ან უნდა დაიმსხვრეს ისიც კი, რაც შეგვრჩენია. ყოველგვარი პარტიკულიარიზმი და განკერძოება დღეს დასაგმობია, და ჩვენდა სამწუხაროდ, ამ პარტიკულიარიზმმა თამამად იჩინა თავი საქართველოს ერთ კუთხეში, რომელიც დენაციონალიზაციის მსხვერპლი იყო ჯერ ოსმალეთის და შემდეგ რუსეთის. აჭარაზე მოგახსენებთ. რა მწვავე და მტკივნეული საკითხია იგი ქართველ ერისთვის, ეს ყველამ კარგად იცის. მაგრამ კარგად ვიცით ისიც, რომ ბევრი სცდილობდა და სცდილობს მისდა საერთოდ სამაჰმადიანო საქართველოს ჩამოშორებას, და აი დღეს, როდესაც „ქართული მთავრობა“ აღარ არის, ამ პარტიკულიარიზმმა იჩინა თავი და მეტად თამამადაც, „აჭარისტანის“ ახალი მეჯლისის მემორანდუმი ამ განკერძოების და ეროვნულად მიუღებელ იდეაზეა აგებული. „შექმნილ მდგომარეობით“ ისარგებლა აბხაზეთმა, სადაც უმრავლესობა ქართველები არიან და „ავტონომია“ გამოიცხადა რუსული საქმის წარმოებით, რუსი „ჩინოვნიკების“ წყალობით, რუსული ორიენტაციით (არა რევოლიუციის). დღეს აჭარა ადგენს საავტონომიო მემორანდუმს, და ისეთი კილოთი: ისეთი გამოთქმით, თითქოს აჭარელი სხვა ნაცია იყვეს, დამოუკიდებლად არსებული, რომელიც დღეს „თანხმდება“ ავტონომიურ აჭარისტანის შექმნაზე. მეჯლისი, „აცხადებს აჭარის მცხოვრებთა ნების-ყოფას: შევიდეს საქართველოს ს. ს. რ. შემადგენლობაში, როგორც ნაწილი და სხ.. „თანხმდება“, შეიძლება არც „დათანხმდეს“. „შევიდეს“ საქართველოს ფარგლებში, ე. ი. ჯერ არ ყოფილა.. ახლა ნახეთ რა უფლებებით სურს აჭარის მეჯლისს შეიარაღება:

1) შინაგანი საქმე.
2) იუსტიცია.
3) განათლება.
4) ჯან-მრთელობა.
5) სოციალ. უზრუნველყოფა.
6) მიწათ მოქმედება.
7) მომარაგება.
8) ფინანსები.
9) სახ. მეურნეობა.
10) მუშ.-გლეხ. ინსპექცია.

ყველა ეს უნდა იყვეს აჭარისტანის მეჯლისის ხელში. საქართველოსთან აკავშირებთ მათი მემორანდუმით მხოლოდ საგარეო საქმეები. თავი რომ დავანებოთ მემორანდუმის შინაგან სილატაკეს, იმ უცოდინარობას, რომელიც ახალ მეჯლისის სქემებიდან გამოსჭვივის, ჩვენთვის მიუღებელია იგი როგორც ანტი-ეროვნული მოვლენა. აჭარის მოწყობა მხოლოდ მეჯლისის საქმე როდია. ეს ჩვენი საქმეც არის. და თუ გნებავთ ეს საქართველოს საქმე, რადგან აჭარელი ქართველია. არავის არ მივცემთ გამართლებელ პრეტენზიით იაროს ჩვენს ქვეყანაში, და გამოუანგარიშებელ სურვილებით ჰგლეჯოს ქართველი ერის ისედაც ნაგლეჯი ტანი.

ადგილობრივი თვითმართველობა, ეს კიდევ გასაგებია, ეს ასეც უნდა მოხდეს და არა მარტო აჭარაში, საქართველოს ყველა კუთხეში, მაგრამ ის, რასაც მეჯლისი მოითხოვს, ის სახელმწიფოს შექმნაა. არ მინდა ეჭვები მივატანო მეჯლისის წევრებზე, მაგრამ ერთი გარემოება ამ ეჭვებს აღვიძებს. მემორანდუმში ნახსენებიც არ არის მეჯლისის შეხედულება ენის შესახებ. ინტერვიუდანაც ის გამოირკვა, რომ ეს საკითხი მათვის არა სდგას. მაგრამ რა იქნება აჭარისტანის სახელმწიფოში, ამის წინასწარმეტყველება არც ისე ძნელია, რადგან მემორანდუმი რუსულად არის წარდგენილი. ალბად აჭარის პოლიტიკურ მოღვაწეებსაც გაუზიარებიათ ის აზრი, რომ „საქართველოს მთავრობა“ აღარ არის და რუსულად ადგენენ საპასუხისმგებლო და სახელმწიფოებრივ ხასიათის დიდ დოკუმენტს. ყოველ შემთხვევაში ამ მემორანდუმის ხასიათი და ბუნება ისეთია, რომ აჭარის საფრთხე კვლავ სდგება, და ვაი თუ „სედაი მილეთის“ პარტია იმიტომ მოისპო, რომ „ახალი მეჯლისი“ შეიქმნა?

როგორც მოვიხსენიე, მემორანდუმი ასე იწყება: „თავისუფალი აჭარისტანის მეჯლისის დადგენილება ხთანხმდება.. და სხვ. წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს რევკომი არ დასთანხმდება... მეჯლისი აცხადებს ხალხის სურვილს „შემოვიდეს“ საქართველოს ფარგლებში, და სამისოდ მთელ რიგ პირობებს გვიყენებს. ვსთქვათ ეს პირობები არ მიიღო საქართველოს მთავრობამ. შემდეგ? რასაკვირველია ამ შემდეგზე მემორანდუმი ვერაფერს იტყვის, მაგრამ ალბად იქ ამბობდნენ, ამ დოკუმენტის შედგენის დროს. ალბად გათვალისწინებულიც ჰყავდათ მესამე ძალები, რომელნიც თვალ-გაგანიერებული დასტრიალებენ საქართველოს ამ ლამაზ და მდიდარ კუთხეს, და თავისი მოქნილი აგენტების წყალობით ალბად სჭედავენ კიდეც რკინას, ვიდრე ცხელია. მაგრამ იცოდეს ყველამ, რომ ყველაზე თავგამოდებით, ყველაზე წმიდა გული, ყველაზე დიდი და უანგარო პათოსით, ყოველი ქართველი სდარაჯობს როგორც აჭარას ისე მთელ სამაჰმადიანო საქართველოს, და არავის არ მისცემს ნებას ისარგებლოს საქართველოს ამა თუ იმ მდგომარეობით და „განიყოს სამოსელი ჩვენი და ჩვენს კვართზე იყაროს წილი. ჩვენ დეცენტრალიზაციის მომხრენი ვართ, მაგრამ ამ აბსურდამდე ჯერ არ მისულვართ, რომ ერთი ერი რამდენიმე სახელმწიფოდ დავანაწილოთ. ადგილობრივ თვითმართველობას ნურავინ აურევს სახელმწიფოებრივ ავტონომიაში. აქ კი აჭარის მეჯლისი ისე იქცევა, როგორც მცირე ერების წარმომადგენლებს შეჰფეროდა, როგორც ოდესღაც ჩვენ მოვითხოვდით საქართველოს ავტონომიას რუსეთის სახელმწიფოში. ასე ყალბად გაგებულ ავტონომიას უნდა ბოლო მოეღოს. ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი არ შეიძლება მივიტანოთ იქ, სადაც სხვა ერი კი არ გვეგულება, არამედ ჩვენივე ერის ნაწილი, მხოლოდ სხვა სარწმუნოების აღმსარებელნი. რელიგიის პრინციპით კი სახელმწიფო არც აშენებულა, და ვერც აშენდება, მით უმეტეს დღეს, როცა რელიგია პირველ ფაქტორთა რიცხვიდან ამოშლილია. თორემ თუ აჭარის სახელმწიფოს შევქმნით იმიტომ, რომ იქ ყურანს სცემს ხალხი თაყვანს რა [illegible] ქართველ კათოლიკეებმა, გრიგორიანებმა და თუ გნებავთ იმ ურწმუნოებმა, რომელთაც აღარც ერთი რელიგია არა სწამთ? მაშ საქართველო რელიგიის მიხედვით უნდა დანაწილდეს? მაშ თუ ასე იქნება სახელმწიფო, რათ არსებობენ ცალკე ოსმალეთი, სპარსეთი და სხვა სამაჰმადიანო ქვეყნები? რატომ ერთად არ არიან? ან რატომ გერმანია საფრანგეთი, ამერიკა, ინგლისი არ ნაწილდებიან პატარ-პატარა ავტონომიურ სახელმწიფოებად, კათოლიკობის, პროტესტანტობის და სხვა ათასგვარ სექციების მიხედვით? რადა ყოველგვარი შეუსაბამობა საქართველოდან სურთ დაიწყონ? არა, ამის ნებას არ გაძლევთ. რატომ გსურთ განზე დგომა? იმიტომ რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ? იცით რომ საქართველოში ისტორიულად ქრისტიანობას ქართველობა სჭარბობდა, და დღეს კი საქართველოში ქართველი გაცილებით მეტია, ვიდრე ქრისტიანი?

იცით რომ ჩვენთვის არსებობს მხოლოდ სიტყვა ქართველი, და არ არსებობს განსხვავება მაჰმადიანისა და აჭარისტანს შორის? თუ არ იცით, უნდა იცოდეთ, და სარწმუნოებრივი მომენტი შორს უნდა წამოსწიოთ იქ, სადაც ამის საჭიროება სრულიად არ არის. იქნებ თავს არ სთვლით ქართველებად მემორანდუმის ავტორებო? მაშინ ეს გაგვაგებინეთ, და ჩვენც შესაფერ სახელს გამოვსძებნით „თვის ტომის დამწუნებლებისათვის“.

რატომ არაფერს ამბობთ ენაზე? ვინა ხართ, რა ენაზე ფიქრობთ, ლაპარაკობთ, რომელ ერს ეკუთვნით? თუ ჩვენად გრძნობთ თავს, იყავით ჩვენთან. ის კი არ არის საკვირველი, რომ ჩვენთან იყვეთ მაშინ, როცა ჩვენთან ყოფნა სასარგებლოა, უფრო დიდი ვაჟკაცობა და გმირობაა ჩვენთან ყოფნა, როდესაც ეს სახარგებლოა საქართველოსთვის. ალბად არსად ისე არ ჰფასობს ერთი ადამიანი, როგორც ჩვენს მცირე-რიცხვოვან ქვეყანაში, და განსაკუთრებით დღეს, ამ ორომ-ტრიალსა და ქაოსის ხანაში. რა დროს „აჭარისტნის“ სახელმწიფოს შექმნაზეა ლაპარაკი, როცა საქართველოს სახელმწიფოს საკითხი ჯერ კიდევ გაურკვევლობის პროცესში იმყოფება. რა დროის პარტიკულიარიზმია, როდესაც საჭიროა მთლიანობა და შედუღება. ფრთხილად! შეიძლება ამ აჩქარებულმა მოქმედებამ ისეთი რამ ჩაგვადენინოთ, რისთვისაც ისტორია საპატიო ტიტულს არ მოგვთავაზებს.

და თუ მოფიქრებულია, მაშინ უფრო ფრთხილად, რადგან ეს უფრო უარესია. აჭარის საკითხი, ისევე როგორც შავშეთის, ერუშეთის, კლარჯეთის, ლაზისტანის და საერთოდ „სამაჰმადიანო საქართველოს“ საკითხი მთელი ერის საკითხია, და ჩვენს გარეშე ეს საკითხი ვერც გადაწყდება. ხოლო თუ მესამე ძალისკენ მაინც იცქირებით, მოგახსენებთ, რომ ეს მესამე ძალა მისტიური რამ კი არ არის, იგი ძველი, ნაცნობი აქტიორია, ბევრჯერ გვინახავს მისი ჟანგიანი კბილები, რომლსაც გვიკრაჭუნებდა, თითიც ბევრჯერ გადმოუყვია, რომ სწორედ ეგ „აჭარისტანი“ დაეთრია, მაგრამ თვით აჭარაში, ხალხის გულის სიღრმეში [illegible] გრძნობა აშორებდა ამ მესამე ძალას, და საქართველოს [illegible] როგორც სამშობლოსთან. „ვინა სთქვა საქართველოზე ეგ არის ლომი კვდებაო“? ვინც სთქვას, მან კვლავ განაგრძოს ამ ვარაუდით ანგარიში, ჩვენ კი ვიძახით „მუმლი მუხასაო, გარს ეხვეოდა, და მალე სულ მალე ვიტყვით, „მუხა გადარჩაო“. ის დიდი რევოლიუცია, რომელიც მთელ ქვეყანას გარდაჰქმნის, საქართველოსაც გადაარჩენს, ამის იმედი გვაქვს, და სანამ ამ რევოლიუციის ქარიშხალი გრგვინავს, ნუ განვთვითეულდებით. ყველამ ვზიდოთ „დიდი აზრი მამულისა“, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია. თვითეულობით ამომშრალი ტვინი, შეკრებილობით გავაცხოველოთ, და ამ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვიტვირთოთ. ნუ დავაქცევთ „მამათა ჩვენთა სამარეს“, „შვილთა ჩვენთა აკვანს“, დიდ მამულს ნუ დავშლით, პატარებს ნუ გავიკეთებთ. ამ პატარა მამულების იდეა მსხვერპლად მივიტანოთ დიდი საქართველოს წინაშე. ამას გვავალებს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა განსაკუთრებით, და ამ მოვალეობის სიმაღლეზე უნდა ავიდეს ყველა ქართველი, რელიგიის განურჩევლად. ერი ერთი უნდა იყვეს და განუყოფელი.

ვახტანგ კოტეტიშვილი

# „ძმები ხართ თუ მტრები,,?

1918 წლის გაზაფხული მაგონდება. რეაქციონურმა ოსმალეთმა ზურგში რომ მახვილი ჩაგვცა ბათუმის წართმევით.

ივენი არტილერია მდინარე ჩოლოქს უახლოვდება.

საღამო ჟამს მდინარის გამოღმა დავბანაკდით. გენერალ მაზნიაშვილმა მზვერავები გაუგზავნა აჭარლებს: ჩოლოქს გადასვლამდის გვაცნობეთ „ძმები ხართ თუ მტრები?“

—„ძმები ვართ თქვენი!“

შემოგვითვალეს და დილის მურუჯზე ჩვენ მზვერავებს თავს დაესხნენ.

—„ძმები ხართ თუ მტრები?“

ეს ისტორიული ფრაზა გენერალ მაზნიაშვილისა პირზე მომადგა, როცა აჭარის მეჯლისის საკმაოდ უტაქტოდ დაწერილი რუსული „მემორანდუმი“ გადავიკითხე.

თქმულა მუსიკას ტონი ჰქმნისო და ამ მემორანდუმის ტონი ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს აჭარა ჩვენი მეზობელი, დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს რომელსაც შემოსვლა უნდა ჩვენ რესპუბლიკის შემადგენლობაში.

ეს არა ჰგავს საქართველოს რომელიმე კუთხის მცხოვრებთა პეტიციას საქართველოს ცენტრალურ მთავრობისადმი მიმართულს, იგი დაწერილია უცხო სახელმწიფოსადმი მისამართი დიპლომატიური ნოტის ენითა და სტილით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყოველი კულტურული სახელმწიფო დღეს ფრანგულად სწერს ასეთ ნოტებს და აჭარისტანის მეჯლისს საბჭოთა საქართველოს მთავრობასთან სალაპარაკო ენად რუსული აურჩევია.

„მეჯლისი თანახმაა შევიდეს (sic!) ს. ს. ს. რესპუბლიკის შემადგენლობაში.“ გეცემათ თვალში მემორანდუმის პირველსავე სტრიქონშივე.

რომელ „შესვლაზე“ ბრძანებენ ნეტავი მემორანდუმის ავტორები?

საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შემდეგ საბჭოთა საქართველოს მთავრობას გადაეცა მთელი საქართველო თავის პოლიტიკურ საზღვრებში. „აჭარისტანიც“ ამ საზღვრებში გახლავთ, როგორც საქართველოს სხვა ნაწილები და კუთხეები.

ჩვენ არას ვიტყვით იმ ყოვლად შეუწყნარებელ გულმავიწყობაზე რომელსაც აშკარავებენ მემორანდუმის ავტორები ქართული ენის მიმართ. მემორანდუმში ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები, რომ როგორც საქართველოში ისე აჭარაშიაც სახელმწიფოებრივი ენა ქართული უნდა იქნას; განსაკუთრებით აღსანიშნავია პუნქტი მეოთხე, სადაც აჭარის მეჯლისი გაუგონარ პრეტენზიას აცხადებს ქვეყნის მმართველობის მთელ უფლებებზე (sic!).

დღეს უკვე ვხედავთ თუ რამდენად შემცდარი იყო ჩვენი ახლო წარსულის პოლიტიკა საქართველოს ზოგიერთ კუთხეების მიმართ.

სახელმწიფოებრივი ნებისყოფა საქართველოსი, რომელიც ტფილისიდან გამოდიოდა და უნდა გამოდიოდეს თავის პერიფერიებისაკენ მსვლელობის გზაზე პროგრესიულად როდი უნდა სუსტდებოდეს, არამედ პროგრესიულად უნდა ძლიერდებოდეს.

საქართველო, წარსულში სწორედ იმ გარემოებამ დაღუპა, რომ ცენტრიდან აღმომავალმა ძალამ; საქართველოს გაერთიანებისაკენ მიქცეულმა ნებისყოფამ სავსებით ვერ მოსპო ქართული ტომების პარტიკულარიზმი. ამ ტომობრივ პარტიკულარიზმის ტენდენციის მატარებელი იყო ფეოდალურ საქართველოში ციხე-სიმაგრეში შეხიზნული მტაცებელი კუთხის ფეოდალი, რომელიც სახელმწიფოებრივ პოლიტიკას კი არ ემყარებოდა, არამედ თემშარას მძარცველის ინსტინქტებს.

დემოკრატიულმა საქართველომ სხვა და სხვა გარემოებათა მიხედვით კონსექვენტურად ვერ გაატარა საქართველოს აბსოლუტური ცენტრალიზაციის პოლიტიკა ყველა ტომებში. საქართველო ისეთი მცირე რიცხოვანი და მცირე სივრცის შემცველი პოლიტიკური ერთეულია, რომ არც ადმინისტრატიული ტეხნიკა, არც დროის ეკონომია არ მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ნებსითი დეცენტრალიზაციას. ახალმა საქართველომ უსათუოდ უნდა უარყოს ეს მავნე გზა პოლიტიკური დეცენტრალიზაციისა, რადგანაც დეცენტრალიზაცია სრულიად მიუღებელია ისეთ ქვეყანაში, რომელსაც თვით ჩვენი ცუდად მოწყობილი მატარებელი რვა საათში გადაივლის.

პარტიკულარიზმი საქართველოს წარსულში ერთი დამღუპველ მიზეზთაგანი იყო. ახალმა საქართველომ უნდა უარჰყოს ყოველივე პარტიკულარიზმი, სულ ერთია თუ რომელი ქართული ტომი გამოიჩინეს ამას.

ახლო წარსულში საქართველოს სახელმწიფოც უარყოფდა ამ პარტიკულარიზს, მაგრამ მხოლოდ ორიოდე ტომისთვის აძლევდა გამონაკლისს.

რაზე ემყარება აჭარის ავტონომისტების მემორანდუმი? რაზე ემყარებოდა მუდამ ეს ახირებული განდგომილება საქართველოს ტომთა ოჯახიდან? ეს პარტიკულარისტული ტენდენცია აჭარის ავტონომისტებისა უმთავრესად რელიგიოზურ მომენტს ეყრდნობა.

ეს ჩვენთვის დღეს სრულიად გაუგებარია და მიუღებელი. რელიგიურ მომენტს მხოლოდ ძველი სისტემის სახელმწიფოში უწევდნენ სერიოზულ ანგარიშს. დღეს რელიგიოზური მომენტის მნიშვნელობა უარყოფილია არა მარტო დასავლეთის თანამედროვე დემოკრა-

132
ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიულ სახელმწიფოებში, არამედ თვით მუსლიმურ აღმოსავლეთშიაც. მას შემდეგ რაც ამ რელიგიოზურ პრინციპზე აგებული ძველი ოსმალეთი დაირღვა (და იგი დაირღვა არა მარტო გარეშე პოლიტიკური ძალთა ზედგავლენით, არამედ შინა ნაციონალურ ძალთა მეოხებითაც), რაც ოსმალეთს გამოეყვნენ მაჰმადიანური არაბეთი და ეგვიპტე, ამ რელიგიურ მომენტის მნიშვნელობაზე სერიოზულად ვერც ერთი სახელმწიფო მოღვაწე ვერ დაილაპარაკებს საქართველოში გარდა მაჰმადიანებისა და მართმადიდებელთა კიდევ არის ერთი ნაწილი, რომელსაც კათოლიკური რელიგია აქვს, მაშ ჩვენ კიდევ დაუკრათ კათოლიკე ქართველებს, იმათ რომ იტალიასთან „შეერთება“ ან საქართველოსგან „ავტონომიურად“ გამოყოფა მოისურვონ.

დღეს ჩვენ უაღრესად დემოკრატიული სახელმწიფო ფორმები გვაქვს, სადაც რელიგიის მატარებელი ინსტიტუტი ეკლესია, სახელმწიფოს გარეშე იგულისხმება. მაშასადამე სარწმუნოება აღარ არის პოლიტიკური ფაქტორი. ჩვენს აჭარასაც არაფერი დაუშლის რელიგიურად არაბითთანაც იყოს. ჩამოაცალეთ ეს რელიგიური მომენტი აჭარის მეჯლისის და საერთოდ აჭარის ავტონომისტების მოთხოვნილებას და თქვენ ხელში შეგრჩებათ კუთხობრივი პარტიკულარიზმი საქართველოს რომელიმე პროვინციისა.

ასეთი პარტიკულარისტები შეიძლება ჩვენ სამეგრელოში, გურიაში და სვანეთშიც გვყავდეს, მაგრამ ისინი ვერ მიბედავენ ტფილისში ჩამოსვლას მემორანდუმებით ხელში და თუ ამას გაჰბედავენ კარგ პასუხსაც გავცემთ.

მე არ ვუარვყოფ რომ საქართველოს მართვა გამგეობაში ყოველი ტომი თანასწორად იქნეს უფლებრივად წარმოდგენილი, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ დედა საქართველოს წინაშე ყოველი ტომი თანასწორ თანამშრომლობის და მოვალეობის პრინციპსაც უნდა იზიარებდეს. რადგანაც უფლებრივ თანასწორობას, თანაბარი მოვალეობა მოსდევს, ფავორიტიზმი მავნებელია სახელმწიფოსთვის არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა ფავორიტიზმის ობიექტი ცალკე პიროვნებანი იქნებიან, მაგრამ ფავორიტიზმი შვიდკეცად მავნეა იმ შემთხვევაში, როცა მისი ობიექტი რომელიმე ტომი იქნება.

შესაძლებელია საერთო პოლიტიკური ატმოსფეროს ზედგავლენით იწერებოდეს ეს მემორანდუმები, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო მეტის სიმკაცრით უნდა შეხვდეს საქართველო ასეთ პარტიკულარიზმს.

მეჯლისის მემორანდუმში მოთხოვნილია ახალციხის მაზრის შემოერთება ბათუმის ოლქისათვის. ერთი ვკითხოთ ამ მემორანდუმის ავტორებს: რა უფლებით, რისთვის, ვისთვის? აქვთ აჭარისტანელებს სამისო პოლიტიკური მიზნები? სჩანან, სადმე ეს მიზნები?—არსად! მაშ რა მოსაზრებით შეგვიძლიან ასეთ მოთხოვნაში დავეხმაროთ აჭარისტანელებს?

ვიღაცეებს ყურმოკრულად გაუგონიათ რომ საქართველოს კვ[illegible] ნაწილდებაო, მაგრამ ჩვენ გვგონია ძლიერ ცუდი ინფორმაციის ნაყოფია ასეთი წადილი. ნურავის გაათამამებს აფხაზეთის ამბები. ნურც ნურავის ეგონება რომ ჯერ კიდევ დაწყებულ იყოს ფულის კვართის დანაწილება.

ახალმა საქართველომ უსათუოდ უნდა უარყოს ყოველივე პარტიკულარიზმი, მიუხედავად იმისა ბეგების თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა წარმოშვებს ამას, თუ რომელიმე კუთხის „განსაკუთრებული“ მდგომარეობა. ჩვენი იდეალია მთლიანი და ძლიერი საქართველო და არა ფეოდალური საქართველოს კვალობაზე დაქუცმაცებული ქვეყანა.

ვისაც საქართველოს დემოკრატიის ძმობა უნდა, მან ჩვენთან ერთად უნდა გამოსცალოს საერთო ფიალა.

დღესაც შეუძლია საქართველოს ყოველ თავის კუთხეს დაეკითხოს.—„ძმები ხართ თუ მტრები“. და ვინც ჩვენთან ყოფნას სხვასთან ყოფნას არჩევს, ვინც ჩვენ ძმობას სხვის ყმობას არჩევს ის ჩვენი მტერი იქნება.

მხოლოდ არავის დაავიწყდეს, რომ დედა საქართველოსაც აქვს იგივე ბუნებრივი უფლება დედისა, რომელიც მედეას ჰქონდა თავის შვილების სიკვდილ სიცოცხლის საკითხის გადაწყვეტის დროს მინიჭებული.

**კონსტანტინე გამსახურდია.**

1921 წლის ივლისის 11-ს.

## „მემორანდუმი!“

[illegible] სასიხარულოა, როდესაც საქართველოს ჩამორჩენილ კუთხეს, აჭარას თავისივე შვილები წამოეზარდნენ და ხელმძღვანელობის ტვირთს კისრულობენ; მაგრამ მეტად სამწუხაროა, როცა ეს ხელმძღვანელობას მოწადინებული ხალხი ისეთ საარაკო პოლიტიკურ უსუსურობას და ეროვნულ შეუგნებლობას იჩენენ, რომლის ნიმუშსაც წარმოადგენს ათი ვითომდა მემორანდუმი.

ეს დოკუმენტი „ყოველ კრიტიკის გარეშე სდგას“ და მისი იუმორისტულად შეფასება დროის დაკარგვა იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ის ბევრ პატიოსან ქართველს გააცხარებს, ბევრს გულს ატკენს და უფრო დინჯ ხალხს ღიმილსაც მოჰგვრის...

მე კი, რადგანაც რედაქციამ ინება და ამ საკითხს გაზეთის განსაკუთრებული ნომერი უძღვნა, ჩემ ვალს ვასრულებ და „აჭარისტანის“ მეჯლისს ერთ არაკს მოვაგონებ. ასეთ არაკებს დაბალ სასწავლებელში აზეპირებინებენ ბავშვებს მაგრამ პოლიტიკური სკოლის დაბალ საფეხურზედაც საჭიროა მისი შესწავლა და კარგად შეთვისება. ამ არაკს ეწოდება „მგელი და ბატკანი“ ეზოში ცხვარი ბალახობდა და თან ახლდა ახალგაზრდა, გამოუცდელი ბატკანი. დედას გაფრთხილებული ჰყავდა ბრიყვი ბატკანი, რომ მას არ დაშორებოდა, ეზოდან არ გადასულიყო, თორემ ხიფათში ჩავარდებოდა. ერთხელ ეზოში გამოიარა მშიერმა მგელმა და ბატკანზედ თვალი შეიჩნია. ჩაიმალა ნადირი ღობესთან და როცა ბატკანი იმ ადგილს მიუახლოვდა, ალერსით უთხრა: უი, შენ გენაცვალე მაგ ლამაზ თვალებში, რა კარგი რამე ხარ, ბატკანო! წამო, გეთაყვა, გავისეირნოთ მწვანე მინდორზედაო.

ბატკანმა უპასუხა, რომ ეზოს მოშორება მას აკრძალული აქვს დედის მიერ.

— აბა რას ამბობ, ჩემო მშვენიერო?—უპასუხებს მგელი—დედაშენი ბებერია, სიარული აღარ შეუძლია და ამიტომ თავიდან არ გიშორებს, არ უნდა ეზოდან გახვიდე, თორემ მინდორში საშიში რა უნდა იყოს? იქ მშვენიერი და გემრიელი ბალახი იცის; წამო თუ არ გჯერა და ნახე. ბატკანი შესცდა გაეპარა დედას, გაჰყვა მგელს მინდორში და რაც მოუვიდა, ამას ჩამორჩენილ აჭარის ბავშვებიც მიხვდებიან.

ჩაუკვირდით ამ არაკს, ბავშვებო, შეიგნეთ კარგად მისი შინაარსი და დაიხსომეთ, არ დაივიწყოთ, თორემ, დედა გაჯავრდება და ეგებ ყურების აწევაც დასჭირდეს, წინააღმდეგ მისი სურვილისა.

ომეგა.

## პატრიოტიზმის სახელით

ახლანდელი ფსიქოლოგიური ყოფა ნერვიული მაჯის-ცემა და ნაღველში გალესილი გული ქართველი ერისა ბევრს უშლის შესაძლებლობას დაიდგას თავზე მამულიშვილობის გვირგვინი.

ნაოჭით შეკრული შუბლი ქართველი ერისა ბევრს აძლევს საშვალებას ჩაწიხლოს, გაავერანოს მოპირდაპირე. ეს ერთგვარი სტრატეგიული მანევრია. დაგიძახებენ ეროვნულ მოღალატეს, იჭერენ ორ კურდღელს: ამჟღავნებენ თავის პატრიოტიზმს და ჰკლიან შენ ეროვნულ პიროვნებას, წამებულ წუთებშია შემდეგ გახვეული მოპირდაპირე, ვინაიდან საჭირო ხდება ამტკიცო ის, რაც შენი წმინდაა, რასაც ეყრდნობი, და რითაც დაღალულია ბაული შენი მოქმედება.

კიდევ დიდი კულტურული გზაა გასავლელი, რომ ქართულ საზოგადოებაში ამაღლდეს პიროვნების კულტი. უკანასკნელის ფასეულობის შეცნობისგან შორს არის ქართული აზრი.

შეიძლება უკეთესი იყო გრიგოლ რობაქიძის განმარტების შემდეგ წერტილი დასმულიყო, მაგრამ ზოგიერთის უკანასკნელი წერილები მთელი ჯგუფის წინააღმდეგ არის მიმართული, ამიტომ საჭიროა რკალის გახსნა.

ქ. გამსახურდიას, ანაზამბისტი და ბათომელი ფალავანი და კასრაძე დაემატა. ანაზამბისტი ლიტერატორის ლერაბით დადის და მას მოეთხოვება იცოდეს ქართულ პოეზიაში არსებულ მიმდინარეობათა კლასიფიკაციის ანბანი.

კეთილ სინდისიერება მოითხოვს საკითხის ფრთხილ მოპყრობას და ზოგიერთ აზრების მძლე სადავით შეკავებას. ანაზამბისტმა უნდა იცოდეს მაგალითად, რომ „ცისფერი ყანწების“ ირგვლივ მთელი ჯგუფია შემოკრებილი.

და როცა ჯგუფზე ლაპარაკობ, ვინმე მეტი აზრის ჯენტლმენობაა საჭირო.

ჩემი მიზანია კამათს ჩამოვაცილო ყოველად მიუღებელი ტონი და პირადული მოტივები. საკითხი პრინციპიალ ნიადაგზე უნდა იდგეს.—საკითხი უნდა ჩამოშორდეს პოლიტიკური აქსესუარიც და წმინდა ლიტერატურული სახე მიეცეს. წინდაწინვე ვაცხადებ: „Народы кавказа“-ში დაბეჭდილ ლექსის ზოგიერთ ხაზებს, შექმნილ მდგომარეობაში არ ვიზიარებ. ამის შესახებ თვით ავტორი დასწერს განმარტებას. მაგრამ აღსანიშნავია ერთი ქრონოლოგიური დეტალი. ეს ლექსი არ იყო დაბეჭდილი, როცა „ცისფერ ყანწების“ წინააღმდეგ დაიწყო კომპანია, ვიტყვი დაუშვებელი, ვინაიდან ავტორებმა კარგად უწყიან შეუძლებელი შედეგი ასეთი გამოსვლებისა ისეთ სუსტიერ რკალში, რომელშიაც მომწყვდეულია ქართველი ერი.

ისტორიის გაკვეთილების ცოდნა საჭიროა. სად არის სათავე ამ უმაგალითო წასისიანების, პოლიტიკურ ჯაშუშობის?

რამ გამოიწვია ეს შამანური ჩურჩული კულისებში?

ქ. გამსახურდია გარკვევით სვამს საკითხს: ინტელექტუალური ორმაგობა და ქართველობის რენეგატობა. ამას ემატება რუსული გავლენის აღნიშვნა.

მე მწამს ერთი ავტორიტეტი საქართველოში: მისი სახელი დაკავშირებულია ახალ საქართველოსთან. აქ თავმოყრილია ქართული პროფილის უკეთილშობილესი ხაზები: არჩილ ჯორჯაძე. მისი აზრი გრიგოლ რობაქიძეზე ნათელია. მისთვის უკანასკნელი იყო ერთი ესტეტი საქართველოში და დიდი ეროვნული მოღვაწე. ეს საკმარისია ისტორიისათვის დაფასოს გრიგოლ რობაქიძეს სიტყვა „ცისფერ ყანწებამდე“ შემდეგ? სად ჩანს ინტელექტუალური ორმაგობა და ანაციონალიზმი გრიგოლ რობაქიძის ან ტიციან ტაბიძის ან „ცისფერი ყანწების“ გამოსვლებში?

სახეში მაქვს ლიტერატურული და პოეტური ცხადება.

„ცისფერი ყანწების“ ჯგუფს თეორეტიული სარჩულის და მხატვრული შემოქმედების გაშლა სწორ ხაზებში წინაალდეგს იჭყვის. ვიტყვი მოკლედ.

რუსული კულტურის გავლენის უარყოფა, ეროვნული პათოსი—ახასიათებს „ცისფერ ყანწებს“ როგორც ლიტერატურულ სკოლას.

საჭიროა წარსულის გახსენება.

პირველი ყუმბარა, რომელიც გადაისროლა „ცისფერ ყანწებმა“ მიმართული იყო რუსული კულტურის გავლენის წინააღმდეგ.

როგორი იყო „ცისფერი ყანწების“ ანალიზი ქართული პოეზიისა მთელი სიგრძით და სიღრმით?

იყო წარსულში შოთა რუსთაველი სიტყვის ჯადოქარი და პოეტურ სახეების რიტმიული დენის უდარებელი ოსტატი. რუსთაველის ცნობაში პოეზია თვით-მიზანია, სიტყვა ძირითადი მასალა, ამიტომ ცოცხალი, ენერგიული და დინამიური. შემდეგ იწყება სიტყვას დეკადანსი ვიდრე ბესიკამდე, რომელმაც ლექსს სიცოცხლე დაუბრუნა და რიტმს გაშლილი დენა, რომელმაც გადალახა ნაპირები და ალ. ჭავჭავაძეში და ნ. ბარათაშვილში გადავიდა ინერციით.

შემდეგ კვლავ დეკადანსი და რუსული გავლენით იწყება პოეტურ სიტყვის [illegible] (ვაჟა-ფშაველა, ჭავჭავაძე; აკაკი გამონაკლისია).

შემდეგ ამეტყველდენ მოქალაქეობრივი მოტივები (რუსული გავლენა) და ბანალობის არისტოკრატიზმი. გაჰქრა რუსთაველის და ბესიკის ერთადერთი მისადები პოეტიკა: დახვეწილი და მძლედ ეროვნული.

ეს პოეტიკა მთავარ ხაზებში, როგორც პრინციპი მიიღო „ცისფერმა ყანწებმა“. პოეზია თავის თავად, მისი თვითმიზნობა—ასეთია ესთეტიური მრწამსი ახალი ლიტერატურული სკოლის.

სიტყვაში ვულკანის ენერგიის ნაღვერდალის ანთება სიტყვების შერჩევით ახალი ქმედითი სახის გამოჩენა ნივთების გადაჯგუფებით და მათი ფსიქოლოგიის ხაზის მოცემით ახალი მსოფლშემეცნება სიმბოლიზმის ჩამოყალიბება—იყო მიზანი „ცისფერი ყანწების“.

სიმბოლიზმის შეხვედრა ეროვნულ (შოთა რუსთაველის და ბესიკის) პოეტიკა ცოტაოდენ განსხვავებით.

უკანასკნელი ნორმალურია: მეოცე საუკუნეში პოეტური განცდა დეტალებში ვერ იქნებოდა ასეთი, როგორც მეთორმეტეში.

პოეტური მახვილობა შორის [illegible] და ხმას ფერი გამოეძებნა.

ქალაქის დინამიკამ სიტყვასაც მეტი ძალა და წონა მისცა. მაგრამ ეს სხვა საკითხია. „ცისფერმა ყანწებმა“ გაიხსენა ის, რაც „სხვას ჰქონდა გაუფრთხილებლობა დავიწყებია“.

ეს თეორიული გამოსავალი.

ნახა სახე მან ქმედით პროცესში?

მხოლოდ ბრმებს არ შეუძლიათ დაინახონ ამ ხრით „ცისფერი ყანწების“ მიღწევა.

აღსანიშნავია „ცისფერ ყანწების“ მერიდიანის მიმართულება. იგი არას შემთხვევაში არ მიდიოდა მოსკოვით, მისი ერთი თავი ტფილისშია, მეორე პარიზში.

რატომ? რუსული სიმბოლიზმიც მოქალაქობრივი რუსით შეითხიპნა და დაკარგა თვითმიზნობა. ამავე დროს იგი უფრო მსოფლშემეცნება იყო ვიდრე ლიტერატურული სკოლა.

აქ იყო პასუხი „რა“-ზე, მაგრამ „როგორ“ კითხვითი ნიშნის ქვეშ რჩებოდა.

ამიტომ ბოდლერი, ვერლენი, მალარმე, ლაფორგი და ვერჰარნი თავისი ექსპრესით უფრო მისაღები შეიქნა.

არის სხვა მიზეზიც, მაგრამ ამაზე შემდეგ, როცა შევეხები ქ. გამსახურდიას მტკიცებას, თითქოს უკანასკნელების შემდეგ ბევრი რამ ითქვა პოეზიაში. რუსულიდან გადმონერგვაზე ზედმეტია ლაპარაკი.

არსებულ წყობილებაში შეუძლებელია სრულიად დამოუკიდებელ, თავისებურ სისტემის შექმნა. არის მუდმივი დამოკიდებულება ერთა შორის. და არის იდეიური ურთიერთობრივი გავლენა.

ეს არ არის სადავო. რომანტიზმის არც რეალიზმს და არც სიმბოლიზმს არ უგვრძნია ხალისი რუსეთში გაჩენისა, მაგრამ ამოშალეთ მსოფლიო პოეზიიდან პუშკინის, დოსტოევსკის, ტიუტჩევის, ბრიუსოვის, ბელის და სხვათა სახელები, რა დარჩება?

სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული სკოლა ჩვენ მივიღეთ უცხოეთის გავლენიდან (თქვენ თუ შექმნით სრულიად დამოუკიდებელ მიმდინარეობას კარგი იქნება) და მივიღეთ ვინაიდან შეხვდა „ვეფხის ტყაოსნის“ პოეტური ხილვა პოეზიას სიმბოლისტურად შეგნებას ძირითად ხაზებში.

ქ. გამსახურდია! არის აქ ეროვნული ხაზის გაღუნვა?

სირცხვილია ამის მტკიცება მაგრამ არც შემდეგ გატეხილა „ცისფერი ყანწის“ ჯგუფის ხელში ეროვნული რკალი.

ტფილისი მან გამოაცხადა ქართული პოეზიის სატახტო ქალაქად.

„ტფილისი უცხოელებს დანებდა. ყოველმხრიდან შემოგვესიენ ომით და რევოლიუციით გადმორეკილი ემიგრანტები, ბებერი და უნიჭო აქტიორები, სატახტოს ხელოვნებას დაეპატრონენ ჩრდილოეთით დაქირავებული კლაკიორები და ესთეტიკას სპეკულიანტები“ (იხ. ბარიკადი № 1 პაოლო იაშვილი) ეს იწერებოდა მაშინ, როცა უხვად ეპატიჟებოდენ რუსეთიდან და სახელმწიფოებრივ მფარველობას უწევდენ უცხო ძალებს ისინი, ვინც დღეს პატრიოტიზმის ანაფორაში არიან გამოხვეულნი.

შალვა აფხაიძე

(შემდეგი იქნება)

## ისტორიის უსამართლობა

ქართველს მწერალს დამშვიდებით არ შეუძლია ს[illegible] თავის სამშობლოს ისტორიულ ჭრილობებზე, რომელიც დროთა უკუღმართმა ტრიალმა მიაყენა ისედაც მრავალ-ნაწამებ ქართველ ერს. ეს იარები საქართველოს მთლიან სხეულის დასახიჩრებისა და განკვეთის მიზნით მოყენებული ესოდენ მტკივნეული და არსებობის საკითხია, რომ ქართველ კაცს არ შეუძლია მასზე წყნარი და დარბაისელი პასუხის გაცემა. საკითხი საქართველოს თვითეულ ტერიტორიალურ მხარეთა ჩამოცილება-მოჭრისა იმდენად მძიმე და ყველაზე უფრო საბედისწეროა ჩვენი ერისათვის, რომ მასზე მსჯელობა ხშირად წინააღმდეგ ჩვენი ნება-სურვილისა არ იქნება მსჯელობა ცივი მაყურებლისა და შორიდან გამრკვევი ადამიანის დინჯი თვისებებით შემკული. განსაკუთრებით ეს ითქმის მაშინ, როცა საკითხი სამაჰმადიანო საქართველოს შეეხება.

სამაჰმადიანო საქართველოს ხსენებით ჩვენს არსებაში კვლავ წამოიჭრება ის უთვალავი წინაპართა ლაშქარი, რომელიც სამუდამოდ დაბანაკებულა ჩვენი სისხლის ძარღვებში და განკითხვის ჟამს იშლება ესოდენ მძლეთ, ესოდენ იმპერატიული ვალდებულებათა დაკისრებით, რომ არ შეგვიძლია იყოს სულით არ ფორიაქი, გრძნობით—აუჩქარებელი ბუნებრივიც არის თუ მაშინ, როცა ისტორიის სიმუხთლე თავის ულმობელ და მჭრელს დანაზე აგდებს მთელს მოდგმას მთელს რასას და ბოლოს მთელს ერს, ჩვენში ამეტყველდება ბრძანებითი კილო ამ რასისა, მოდგმისა და მთელი ერის. სამაჰმადიანო საქართველოს ისტორიული ბეჯის ხსენების დროს, მდუმარებას კარგავს თვით მშვიდი წინაპართა სამარეებიც და ჩვენს წინ გარდაშლილნი საფლავნი მოითხოვენ გარკვეულს და ყოყმანის გარეშე მდგომ გადაჭრას ერის არსებობის საკითხისას. და ჩვენი ვალია ამ ხმას ვუსმინოთ, მისი გავიგონოთ და ერთხელ და სამუდამოთ ქვეყნის გასაგონად ვსთქვათ ყოველივე კატეგორიულის კილოთი, შეურიგებლის ხმით: სამაჰმადიანო საქართველოს საკითხი მთელი საქართველოს სასიცოცხლო საკითხია და იგი უარყოფითად გადაიჭრება მხოლოდ მაშინ, როცა ისტორია ინებებს მთელი ქართველი ერის წესის აგებასაც. სანამ ჯერ კიდევ კაცობრიობის რუქაზე პატარა კუნჭული გვიკავია, მანამ ნებას არავის მივსცემთ ერთი წუთითაც დაგვაეჭვიანოს სამაჰმადიანო საქართველოს საკითხის გადაწყვეტაში.

რაშია საქმე? რად დაგვჭირდა ესოდენი წინასიტყვაობა?—პასუხისათვის იგივე ისტორიას ვინახულებთ, მასვე ვალაპარაკებთ.

ჩვენი ქვეყნის სამხრეთი და სამხრეთ დასავლეთის ნაწილი დროთა ვითარებისაგან განსაკუთრებულ პირობებში ჩავარდა. ჩრდილოეთისა თუ აღმოსავლეთისაკენ მიშვერებული მტერი პირველად საქართველოს ამ ნაწილებს მოესხმებოდა და ქართული ოჯახის დაქცევას ამ ბჭეთა შემტვრევით ლამობდა. ვინ გინდათ ბერძნებ—რომლებითაც დაწყებული, არაბებით მიყოლებული, თვით ოსმალებამდის ჩვენი ქვეყნის ამ ნაწილის ზურგზე არ გადასულიყოს; მაგრამ საქართველო მთლიანი, საქართველო ღონიერი სძლებდა ხიფათისაგან ეხსნა ერის მოწინავე ფრონტი. ამიტომაც ასე ადვილად არავის უშვებდა ამ მტკიცეთ შემოხვრეულ ალაყაფის კარებში. ამიტომაც ჩვენი მესხეთი, ჩვენი სამცხე-საათაბაგო შეიქმნენ განსაკუთრებული მზრუნველობის საგნათ მთელი ჩვენი წინაპარ სახელმწიფოებრივ მოღვაწეთათვის. სამხრეთი საქართველო აყვავდება კულტურულად ჩვენი ისტორიის გარიჟრაჟზე სწორედ მისი ამ განსაკუთრებულ მდებარეობის გამო და ქართველი ერისაგან ამ კარების გამაგრებისათვის უმაგალითო ენერგიის დახარჯვით. ამიტომაც ჩვენი კულტურის პირველი სხივოსანი მზე სამხრეთიდან ამოვიდა. და ჩვენი ერი ერთ დროს ამ სამხრეთ ნაწილის ირგვლივ იკრიბებოდა. საქართ-

თველოს მეფენი გრძნობდენ თუ რა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ საქართველოს ქართული სახელმწიფოს ბედის გადაჭრაში და ამიტომაც ცალი თვალი ფხიზლად უდარაჯებდა ამ მხარესაც, სამხრეთ საქართველო ბარიერად გადიქცა ჩვენი მტრებისათვის არა მარტო არტანუჯისა და ტაოს ციხეების წყალობით, არამედ იმიტომაც, რომ იქ იგებდა „დიდებული ლავრა შატბერდები“, ოშკისა ტ ხახულის განთქმული მონასტრებიც. ამიტომაც იყო, რომ მთიან-ხევებიანი და მურანი ტყეებით მოცული ადგილები სამხრეთ საქართველოისა კულტურის სალაროდ გადაიქცა, საიდანაც ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხენი უკანვე ღებულობდენ გათქვეცემულ და გაოცკეცემულ ნაზდაურს თავის შრომისათვის კულტურულ ღირებულებათა სახით. მესხეთის და სამცხე საათაბაგოს ეპოქა უდიდესი მნიშვნელობის არის ქართველი ერის კულტურული შემოქმედების დამტკიცებისათვის ისტორიას რომ უნებებია თავის ფურცლებზე აღენიშნა. შოთა რუსთაველებს უგზავნიდა მთელს ერს სამხრეთ საქართველო და ამიტომ მისი მდგომარეობის საკითხი ყოველთვის საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბით დაუყენებიათ ჩვენს წინაპრებს. მიუხედავად გაუტეხელი ცდისა, ქართველმა ერმა დაკარგა ლამის საბოლოვოდ თავისი კულტურის სალარო სამხრეთი და სამხრეთ დასავლეთი მოზღვავებულ თურქულ-ოსმალურ ურდოების ულვთოობით და განუკითხაობით.

ეს უბედურება იმითაც აიხსნება, რომლითაც ხასიათდება ჩვენი ქვეყნის უკანასკნელი საუკუნოებში ჩამორჩენილობა: ფეოდალურმა საქართველომ დაამარცხა იდეა საქართველოს მთლიანობისა აბსოლიუტიზმის დამარცხებით და მით კარი გაუღო დაქუცმაცება-დაქუცმაცებას ჩვენი ერის ტერიტორიალური სხეულისა. დანაწილებული საქართველო ადვილი საყლაპავი ლუკმა გახდა ჩვენი ისტორიული მტრებისათვის. განსაკუთრებით ეს ზეგავლენა ჩვენს კარში შემოჭრილ მტრისა დაადგა ამ კარებთან მყოფ ნაწილის სამშობლოისას. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო წოდებული მესხეთად გავერანდა, მოიშალა და ოსმალეთის უღლის მატარებელი შეიქმნა მთელი სამი საუკუნე. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილნი: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი კლარჯეთი არტაანი, ჯავახეთი სამცხე და სხვ. ლამის ჩვენი ახალი ისტორიიდან უნდა ამოშლილიყო, რომ ბედისგან განწირულებს ბედმავე გადიმება მოუნდომა. უბედურებაში, მაგრამ მაინც ასე თუ ისე, მთლიანად მოექცა საქართველო რუსეთის იმპერიის საბრძანებელში. დედამ ერთ განსაცდელში ყოფნის დროს იცნო დიდი ხნის დაკარგული შვილი და გულსათბილად ჩაიკრა, სამაჰმადიანო საქართველოს დედა საქართველომ მშობლიური ხელი გაუწოდა. მაგრამ დაუნდობელს ბედს კანონიერი, ღვიძლი შვილი ასე გამოეცვალა, რომ მან მშობელი სავსებით ვერ იცნო, ვერ მოიგონა იგი და ამის გამო დედის ალერსს შვილს წრფელი ჩახვევა არ მოყვა; ეჭვის გარეშე არ იქმნა დაყენებული საქართველოს დედობა უმადური ისტორიის ზეგავლენით ჩვენი ძმები მაჰმადიან ქართველებისაგან. დაიბადა მრავალი ტრაგიკული გაუგებრობანი, რომელთაც ზოგჯერ შვილისაგან უმადურად დედის სისხლის დაღვრა ამოლევდა.

მაგრამ ასე იყო თუ ისე სამაჰმადიანო საქართველოს ბედი გადაწყვეტილი იქმნა საბოლოოდ—იგი დედა საქართველოს შეუერთდა მის განუკვეთელ ნაწილად იქცა. ჩვენ დღეს წარსულის, ისტორიული უკუღმართობისაგან დატოვებულ იარების მოშუშებას ვფიქრობდით; სამაჰმადიანო საქართველო განსაზღვრულ უფლებრივ-თვითმართველურ აპარატსაც ვუქმნიდით ამ ისტორიულ უწყესობის მოსასპობად, რომ ჩვენს ძმებს ამ გზით თავი სამუდამოთ ჩვენთან ეგრძნოთ; ავტონომიურ თვითმართველობაზე ჩამოგდებული ბაასი მესხეთის შესახებ არ იყო პრინციპიალურ საფუძვლებზე აშენებული. ერთგვარი სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნის მომხრე ვიყავით ჩვენ მაჰმადიანი ქართველებისათვის, არა იმიტომ, რომ ისინი უცხო შტოდ დავისახეთ, სხვა ხალხად წარმოვიდგინეთ. არამედ და უმთავრესადაც იმიტომ, რომ წარწყმულისაგან შექმნილ გაუგებრობას ამ უკიდურესი ზომით მიზანს მაინც მიეღწია. რომ ამ გზით სამაჰმადიანო საქართველო დაგვენებო და იმავე მთლიანობის შემცნობ გურია სამეგრელოს' იმერ-ამერეთს და სხვა ჩვენი სამშობლო ქვეყნებს.

მაგრამ კვლავ ტკივილები, კვლავ საწამლავის დალევა განუზრახავს ჩვენთვის ისტორიას მოძმეთა შორის ენათა აღრევით. უცნობობით, ერთი-მეორის გაუგებრობით. კვლავ ვისთვისღაც ჩვენი ეროვნული ჭრილობის გახსნა შეიქმნა საჭირო, კვლავ ვიღაცას სურს ამ ჭრილობაში ხელის ფათური სიცოცხლე გაგვიმწაროს.

და აკი ჩვენი ძმები მაჰმადიანი ქართველები მეჯლისის სახით საქართველოს მთავრობასთან უცხო, არა ერთი სისხლისა და ხორცის მქონე კრებულის კილოთი ლაპარაკობს იმ მიმართვაში რევკომისადმი, რომლითაც განუზრახავთ მაჰმადიან ძმებს ჩვენი ისტორიული სვლის გაზიარება (?!).

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კილო, აგრეთვე შინაარსი ამ „მემორანდუმისა“ არ შეესაბამება ავტონომიის მომთხოვნელთა როლს. არსებითად ჩვენს წინ თითქოს დამოუკიდებული, არა ქართული სახელმწიფო აწარმოებს ჩვენს სახელმწიფოსთან მოლაპარაკებას. მეჯლისი თანახმად აღნიშნულ მიმართვისა „თანხმა“ (соглacие) განსაზღვრულ საფუძვლებზე საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოს „შემადგენლობაში“ (в состав) შევიდეს.

რა ენით გველაპარაკებიან ჩვენი ძმები? კიდეც ძველი შვილისაგან დედის უცნობის ენით, თუ სხვა რაიმე გაუგებრობას და მათი „ვინმესაგან“ შეცდომაში შეიყვანას აქვსადგილი? მით უმეტეს ამ ეჭვებისათვის იღება ღრიჭით დატოვებული კარები მას შემდეგ, რაც აღენიშნა ზემოდ ნაჩვენებ მიმართვაში რევკომისადმი მუხლი, თუ რა ენა უნდა იქნეს სავალდებულო ენა ჩვენი სამხრეთ დასავლეთელ ძმებისათვის.

ძალიან გვიკვირს კონსტიტუციური მნიშვნელობის მუხლის გამოკლება მარტო წინდაუხედველობით ავხსნათ და ამიტომ კატეგორიულად, ჩვენი წინაპრების შეურყეველი ბრძანების გავლენით ვკითხავთ მაჰმადიან ძმებს:

**რას ნიშნავს ყოველივე ეს?**

**ხომ არ განუზრახავს ვინმე მუხანათ მტერს ჩვენი კულტურის და ჩვენი მოდგმის მზე, რომელიც სამხრეთიდან ამოვიდა, სამხრეთშივე ჩაახვენოს?**

ფრთხილად კონსულნო! ერის ბედით თამაში საბედისწეროა არა მარტო დაზარალებულისათვის, არამედ მისით მოთამაშისათვისაც. ეს „სხვების“ მისამართით დაგვიწერია.

ჩვენი მხრით ქართველები, სისხლი და ხორცნი ჩვენი ძმებისა საქვეყნოთ ვაცხადებთ: ულალატებთ კანონს, ზნეობას და ყოველივეს, რაც ადამიანისათვის ასე ძვირფასია, იმისათვის, რომ დავიხსნათ წინაპართა აკლდამები საჰმადიანო საქართველოში მიწის გულს რომ ამოფარებია, ყოველივე ხიფათისაგან. აკი ეს საფლავები ყველაზე მბრძანებელნი არიან ამ შემთხვევაში?

საკითხი საზოგადოდ უნდა გამოირკვეს მოძმეთა შორის და ეს ისე ლია ნათელი იქნეს ჩვენი ერისთვის. რომ ის ეჭვმა გაანთავისუფლოს საეჭვო „მოციქულთაგან“...

ისტორიის უსამართლობაც ასეთი უნდა!

ეფრემ ჩახუნაშვილი

# ახალი ამბები

— **დ. ფარესიშვილის მოკვლა.** ივლისის 10 დუშეთში, ღამის პირველ საათზე, ვერაგულად მოკლულ იქნა დუშეთის სამაზრო რევკომის ეკონომიური განყოფილების გამგე დ. ფარესიშვილი. განსვენებულის მკვლელობა საიდუმლოებითაა მოცული და ბევრ მითქმა-მოთქმას იწვევს. ეს მეორე მკვლელობაა დუშეთში ჩადენილი ამ უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში და ორივე შემთხვევის შესახებ საჭიროა ფიცხელი გამოძიება. დ. ფარესიშვილი ეკუთვნოდა სოც.-ფედ. პარტიის მემარცხენე ფრთას.

— სახელმწიფო საოპერო თეატრს ესაჭიროება მომღერალთა გუნდში მისაღებათ მომავალ 1921-1922 წ. წ. სეზონისათვის ტენორები და ბასები. ჩაწერა შეიძლება თეატრის კანტორაში დილის 12 საათ.—2 საათამდე.

— **თევზი საქართველოსთვის.** ა. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა საქართველოს რევკომს ხელშეკრულების საფუძველზე ისარგებლოს მდინარე მტკვრის სათევზაო უბნებით. ს. ს. ს. რ. რევკომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ღრმა მადლობის გრძნობით ღებულობს ამ წინადადებას.

— **ახალი საფოსტო ნიშნები.** ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარმა აღძრა საკითხი საფოსტო ნიშნების ახალი ღირების საჭიროთ დამზადების შესახებ. საფოსტო ნიშნები უნდა იყოს გამოშვებული შემდეგი ღირსებისა: 25, 60, 100, 500, 1000 და 5000 მან.

# რადიო

**ინგლის-ირლანდიის დამოკიდებულება.**

**ლონდონი.** სამშვიდობო მოლაპარაკებათა წყალობით, უკანასკნელმა კვირამ დუბლინში ჩაიარა მშვიდობიანათ. სოფლებში გრძელდება თავდასხმანი მთავრობის ჯარებზე. აღნუსხულია 40-მდე მოკლული ინგლისელი.

**ქემალ-ფაშის განცხადება.**

**ლონდონი.** ლონდონის გაზეთების ცნობით ქემალ ფაშამ განუცხადა ანტანტის უმაღლეს კომისრებს, რომ ქემალისტებს განზრახვა არა აქვთ გაილაშქრონ კონსტანტინოპოლზე.

**მოლაპარაკება ქემალ-ფაშასთან.**

**პარიზი.** ინგლისის მთავრობამ დაავალა გენ. გარინგტონს ანატოლიის ერთ ერთ ნავთსადგურში შეხვდეს ქემალს და გაეცნოს მის განზრახვებს. მოლაპარაკების შედეგები დაუყონებლივ უნდა გადაეცეს უმაღლეს კომისრებს.

**სავაჭრო დამოკიდებულება ევროპასთან**

**მოსკოვი.** ამხ. კრასინმა განაცხადა: დღემდე დადებულია შემდეგი ხელშეკრულებანი: ინგლისთან 5 მილიონ გირ. შვეციასთან 50 მილ. კრონ. გერმანიასთან, 3 მილიარდ მარკის და ამერიკასთან 10 მილ. დოლარის.

**ანტანტა და ცენტრალური ევროპა**

**ლონდონი.** ინგლისის მუშათა წარმომადგენლებმა ბრაიტონში კონფერენციაზე განაცხადეს, რომ ანტანტას სურს ეკონომიური შევიწროებით დაასუსტოს შუა ევროპის სახელმწიფონი, ამ პოლიტიკის წყალობით ძლიერ გაუარესდა ინგლისის და საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობა. უმუშევრობა საგრძნობლად გადიდდა გემთა სამღამშენებლო მრეწველობაში.

**საფრანგეთის ბიუჯეტი**

**ლიონი,** საფრანგეთის ბიუჯეტი გამოანგარიშებულია 25 ნახ. მილიარდ ფრანკით. შემოსავალი ისაზღვრება 19 ნახ. მილიარდ მარკით. დეფიციტი კი-სამ მილიარდ ფრანკით.

**ბერძნების მარცხი.**

**ლიონი.** უკანასკნელი ცნობები ადასტურებენ სეიმანდის და ადაბაზარის რაიონებში ბერძნების დამარცხების ფაქტს. ამბობენ ვითომც ოსმალებმა ქალაქი ისმიდი აიღესო.

**ინგლისი და ირლანდია.**

**ლიონი.** ლონდონის პრესა გამოსთქვამს, რომ ლოიდ ჯორჯის წინადადება ლონდონში ინგლის-ირლანდიის სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის შესახებ მიღებულ იქნება. საჭიროა, რომ ხელახლად კატეგორიულად დაადასტურონ, რომ ირლანდიის წარმომადგენლები ისარგებლებენ პიროვნების ხელშეუხებლობით.

**ინგლისის მემადნეები.**

**ლიონი.** ინგლისის მემადნეების და მწარმოებლების თათბირი მოწვეულ იქნება სამშაბათს. მთავრობას და მწარმოებლებს იმედი აქვთ გადაცვის დამთავრებისა.

**ჯიოლიტის მთავრობის გადადგომა**

**ლიონი** რომიდან იუწყებიან, რომ ჯიოლიტის მთავრობა, რომელმაც მიიღო მხოლოდ 34 მეტი ხმა ნდობის გამოცხადებისა, გადადგა.

**გემების გაჩხრეკა შავ-ზღვაზე**

**ბათომი.** გემი „ვეინტინო“ დაიჭირა საბერძნეთის ფლოტმა და გაჩხრიკა.

# ჩემი განმარტება

პასუხად იმ შეკითხვისა, რომელიც მოთავსებულია თქვენი პატივცემული გაზეთის № 108,—„რას ნიშნავს?“ საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი განმარტებები მოგაწოდოთ და გთხოვთ „კავშირის წევრის“ (ამ შენ. შენის ავტორის) საყურადღებოდ მოათავსოთ თქვენი გაზეთის უახლოეს №-ში:

1) ფაქტიური მხარე—9 ივლისის მთელი სამუშაო დროის განმავლობაში აკადემიურ ცენტრში გახლდით და „რაბისში“ არ მოვსულვარ სრულებით. მაშასადამე, ვერავითარ მიწერ-მოწერას მიგიღებდი ამ დღეს „რაბისის“ გამგეობაში. ყოველ გვარი მიწერ-მოწერა უპირველესად საერთო განყოფილებაში მდივანთან გაივლის და შემდეგ გადმომეგზავნება მე, საინსტ.-საორგ. გან-ბის გამგეს.

2) საერთო მხარე—საჯაროდ მიმაჩნია ერთხელ და საბოლოვოდ განვაცხადო, რომ ჩემი თაოსნობით და ბეჯითი თხოვნით ყველა მასალა, რომელთაც პროფკავშირთა საბჭოსაგან მოგვდის ან ჩვენთან შემუშავდება, დაუყოვნებლივ ითარგმნება ქართულად ჩვენი ინსტრუქტორების მიერ. აქედან ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რამდენად ფრთხილად და სათუთად [illegible] რობი საქართველოს [illegible] თუ პროვინციას [illegible] განყოფილებიდან [illegible] და მხოლოდ ქართული ტექსტით. ამას დაამოწმებენ „რაბისის“ თავმჯდომარე ვალ. გუნია, იურისკონსულტნი ნ. ქიძე, რ. ზებიაშვილი, პ. ლეჟავა.

3) „კავშირის წევრს“, რომელიც ფსევდონიმის ნაცნობს ამოეფარებია, მოვთხოვ იქონიოს მოქალაქობრივი გამბედაობა და თავისი ვინაობა მაცნობოს, რათა საშვალება მომეცეს ბოროტ ინსინუაციებს ბოლო მოუღო.

„რაბისის“ გამგეობის წევრი
მანხკა—ნარიმანოვა.

რედაქტორი თედო ღლონტი
გამომცემი ცენ. მთავარი კომიტეტისა.

სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭო აცნობებს ქართველ მორწმუნე საზოგადოებას, რომ ივლისის 11-ს საღამოს 5-ნახ. საათზე გარდაიცვალა

კათოლიკოზ-პატრიარქი

ლეონიდი

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 7 საათზე, მისი უწმიდესობის კარის ეკლესიაში. დაკრძალვა კვირას, ივლისის 17-ს სიონის საკრებულო ტაძარში.

**დაეკარგა** ტფილისის სადგურზე ღამით 1921 წ. ივნისის 11-ს დიმიტრი სპირიდონის ძე კუხრაშვილის სახელზე შემდეგი საბუთები.

1. ტყავის ნაჭეცი პორტმანი. შავი ფერისა, 2. მეტრიკული მოწმობა მოცემული ტფილისის საექზარხოსო საბჭოდან №, 3. პირადობის მოწმობა მოცემული ს. ს. ს. რ. უმაღლესი სამეურნეო საბჭოს საქმეთა მმართველობიდან № 2489 აპრილის 16-ს 1921 წ. 4. ოქროს ბეჭედი, 5. მოწმობა მოცემული ტფილისის ქალაქის მილიციის ხამმართველოდან №, 6. ძველი მოწმობა მოცემული ყოფილი ფინანსთა სამინისტროდან №, 7. სასადილოს ბილეთი სოვნარკომისა, 8. ორი ტრამვაის აბონიმენტის წიგნაკები, 9. სარეგისტრაციო აღნუსხვის ბარათი მოცემული მე-9 კომისარიატიდან, 10. აღნუსხვის ბარათი მოცემული დუშეთის სამაზრო სამხედრო უფროსისაგან ტ ფულად 1500 მ.

გთხოვთ ზემოაღნიშნული ბარათები გაუქმებულად ჩაითვალოს.

მისამართი: მე-9 კომისარიატი ანტონიევის ქ. № 34. სახლ. სოკურაშვილისა. 1019

კბილის ექიმმა

აპოლონ ურუშაძემ

განაახლა ავადმყოფების მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.

ხებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურად ხადილისა (914 ტ 606 სპეცსობრივი უძლურება, ვენერიულ სნეულებანი და შარდისა.

ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ბ. ლანჩხუთში.

ექიმი

ოლღა ხოფერია

იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს.

კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

ბეითალი—ექიმი

ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ქიით ცხვრის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვეძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა. მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქუ. № 3, ბინა 2. 38

ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მაჩაიძე

ადგენს მოსამზად.

ჯგუფებს

ოთხი და ექვსი კლასის მოწმობის მისაღებად. აგრეთვე საშუალო სასწავლებელში: გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად მე-2,3, 4, 5, 6, 7 კლასში. მასწავლებლობის და აფთიაქის მოწაფის წოდებაზე.

აგრეთვე იძლევა ცალკე გაკვეთილებს: მათემატიკაში გერმანულში და რუსულ ენებზე—განმეორებითი გამოცდებზე მოსამზადებლად.

მეცადინობა: დილით—5—7 საათამდე. საღამოთი 2—4 და 5—7 საათ.

მისამართი: პლეხანოვის ქუჩის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვა და ჩაწერა—6—7 ნახ. დილით 3—7 საღამოთი. 1081

მიიღება ხელის მოწერა

„სოციალისტ-ფედერალისტზე“

სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 8000 მან. ცალი 500 მან.